პარტიისა და ხალხის ერთიანობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ივნისი ორშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 135 (15045)

გუშინ, 13 ივნისს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა

ხალხის გულისთქმა

დიდი სახალხო ზეიმი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს — 13 ივნისს. რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები, დაწესებულებები და საწარმოები ნაირფერად იყო მორთული და მოკაზმული, ხალხი ხმას აძლევდა თავის ღირსეულ შვილებს, იმათ, ვინც დაიმსახურა ნდობა, ვინც თავიანთი შრომით, უანგარო ერთგული სამსახურით მოიპოვა მაღალი ავტორიტეტი და ფართო მასების პატივისცემა.

დილაადრიან გაიღვიძეს ჩვენმა ქალაქებმა და სოფლებმა, ადამიანებმა სიხარულით მიაშურეს საარჩევნო უბნებს, რათა საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაშვებით დაედასტურებინათ თავიანთი ნდობა დეპუტატობის კანდიდატებისადმი, ხმა მიეცათ თავიანთ რჩეულთათვის.

ჩვენი მშრომელები იხდიდნენ რა თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას, დეპუტატობის კანდიდატებს ხმას აძლევდნენ იმ მიზეზითა და რწმენით, რომ ისინი თავიანთ შემოქმედებითს ძალებს, ენერგიას, ნიჭსა და უნარს მთლიანად მოახმარენ ხალხის სამსახურს, პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას.

საარჩევნო კომისიებიდან მიღებული წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ გუშინდელ არჩევნებში დიდი გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა, ამომრჩევლებმა ღირსეული ნდობა გამოუცხადეს დეპუტატობის კანდიდატებს.

გუშინდელმა არჩევნებმა გვიჩვენა ჩვენი ხალხის დაძაბულობა. ამაც მოწმობს მასების პოლიტიკური აღმავლობის ის ვითარება, რომელშიც არჩევნები მიმდინარეობდა. ეს არც არის გასაკვირველი, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ჩვენმა ხალხმა იცის, რომ კომუნისტებისათვის, უპარტიოებისათვის, ხალხის რჩეულთათვის არა არის რა იმაზე ძვირფასი, ვიდრე სამშობლოს ინტერესებია.

გასაგებია ის ამოცანები და საქმიანობა, რომლებიც ახლადარჩეული დეპუტატების წინაშე დაისახება. მათ უდიდესი როლი უნდა შეასრულონ როგორც ქალაქებში, ისე სოფლად წარმოების აღმავლობის საქმეში, ბინების, სკოლების და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის გეგმების შესრულებაში, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის საჭირო მომსახურების სფეროს მკვეთრი ამაღლების საქმეში. ყოველივე ეს საბჭოების დეპუტატების სიახლხლორცეული საქმე იქნება, ყოველივე ამას ახლადარჩეული დეპუტატები უდავოდ პირნათლად შეასრულებენ და ამიტომაც სიხარულით აძლევდნენ მათ ხმას ჩვენი მშრომელები.

არჩევნების მაღალი ორგანიზებულობით ჩატარებას ხელი შეუწყო ხალხის რწმენამ, ნდობამ იმათდამი, ვისაც ხმას აძლევდნენ. ჩვენმა მშრომელებმა იციან, რომ მომავალი დეპუტატები მშრომელთა ფართო მასებზე დაყრდნობით ენერგიასა და ძალღონეს არ დაიშურებენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში, ყველაფერს გაკეთებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ ამომრჩეველთა განაწესი, გაამართლონ ხალხის ნდობა, დეპუტატის საპატიო მოვალეობა.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა დემოკრატია!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ ბლოკს.

გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს!

ხმა მისცეს საქმოგლოს წინსვლას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლენინის რაიონის № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქმა, სადაც კენჭს უყრიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის კანდიდატურას. სურათზე: თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ლერი ვარდოსანიძე (მარცხნივ), მისი მეუღლე რაისა ვარდოსანიძე (მარჯვნივ), 138-ე სკოლის მასწავლებელი თამარ ნაზარბეგოვა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინსპექტორი ნესტორ თურქია ხმას აძლევენ მე-14 საარჩევნო უბანში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სურათზე მარჯვნივ — ამომრჩევლები ხმის მიცემის შემდეგ გამოდიან თბილისის კალინინის რაიონის № 22 საარჩევნო უბნიდან.

ფოტო ხ. კილაძისა.

რადიოგრამა „სალუტ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურიდან

ძვირფასო ამხანაგებო!

ვახორციელებთ რა კოსმოსურ ფრენას „სალუტ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურით, დღეს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს, ჩვენ ხმას ვაძლევთ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

საბჭოების ახლანდელი არჩევნები მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით გამოწვეული საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

ჩვენ ხმას ვაძლევთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, ახალი ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას.

კოსმონავტები **დობროვოლსკი, ვოლკოვი, პაცაევი.**

საბჭოთა კავშირის კომპარტიის დელეგაცია მონღოლეთიდან დაბრუნდა

12 ივნისს ულან-ბატორიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს მეთაურობით. დელეგაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვეით მონაწილეობდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობის მუშაობაში. (საკდესი).

საქლესის ცნობა

ფრენა წარმატებით გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 13 ივნისი. (საკდესი). „სალუტ“ პილოტირებული სამეცნიერო სადგური, რომელმაც ეკიპაჟითურთ 93-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, 0 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით შევიდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონაში.

კოსმონავტთა მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის ანალიზის მონაცემების თანახმად, სადგურის ყველა საბორტო სისტემა და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ამხანაგები დობროვოლსკი, ვოლკოვი და პაცაევი თავს კარგად გრძნობენ.

8 საათსა და 06 წუთზე რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს კოსმონავტებმა საბჭოთა ადამიანებს გაუგზავნეს რადიოგრამა საყოველთაო-სახალხო არჩევნების დღესთან დაკავშირებით.

ფრენის მართვის ცენტრი, 13 ივნისი. (საკდესი). პირველმა პილოტირებულმა ორბიტულმა სადგურმა „სალუტმა“ 13 საათისათვის მე-100 შემოუარა დედამიწას. კოსმონავტები გიორგი დობროვოლსკი, ვლადისლავ ვოლკოვი და ვიქტორ პაცაევი წარმატებით განაგრძობენ სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერიმენტების პროგრამის შესრულებას და ინარჩუნებენ მაღალ შრომისუნარიანობას.

ეკიპაჟის წევრების მუშაობისა და დასვენების განრიგება შედგენილია ისე, რომ ითვალისწინებს სადღეღამისო სამეცნიერო კვლევას, მაგალითად, მორიგი სამუშაო დღე ბორტინჟინერ ვოლკოვს გუშინ დაეწყო 21 საათსა და 30 წუთზე, სადგურის მეთაურს დობროვოლსკის — 13 ივნისს 1 საათსა და 15 წუთზე, ხოლო გამომცდელ ინჟინერ პაცაევს — დილის 6 საათზე.

ამ დღე-ღამის განმავლობაში კოსმონავტები აკვირდებოდნენ და ფოტოსურათებს უღებდნენ დედამიწის ღრუბლის საფარს და გეოლოგიური თვალსაზრისით დამახასიათებელ დედამიწის ზედაპირის უბნებს. მათ აგრეთვე გაზომეს პირველადი კოსმოსური გამოსხივების მახასიათებლები.

სადგურ „სალუტის“ ბორტზე განაგრძობენ აგრეთვე ექსპერიმენტებს იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენას ახდენენ უწონობის პირობები უმაღლეს მცენარეთა განვითარებაზე. ამისათვის ზრდიან ხელს, ბინდიურ კომბოსტოს, ხახვს, რომლებიც ჰიდროპონიკის მეთოდებით მოჰყავთ. მცენარეებს, რომლებსაც რეგულარულად აწვდიან საკვებ ხსნას, განუწყვეტლივ აკვირდებიან.

სადგურში მუშაობას ცვლის სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი. კოსმონავტების შრომისუნარიანობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა ვარჯიშები. რომლებსაც სპეციალური მოწყობილობებისა და სამარჯვების მეშვეობით ასრულებენ. კერძოდ, იყენებენ მოძრავ ბილიკს, რომელიც საშუალებას იძლევა შეინარჩუნონ უწონობის პირობებში სიარული ჩვეცა და კუნთების ძალა.

12 საათსა და 55 წუთზე სადგური „სალუტი“ გასცდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონას. უახლოესი გარშემოვლების დროს სადგურთან კავშირი დამყარებულია სამეცნიეროკვლევითი გემის „აკადემიკოს სერგეი კოროლიოვის“ მეშვეობით, რომელიც ჩრდილოეთ ატლანტიკაში დაცურავს, და კავშირგაბმულობის თანამგზავრის „მოლნია-11“-ის საშუალებით.

ხმას აძლევს მოსკოვი

13 ივნისი. მოსკოვი. დედაქალაქის, გმირი ქალაქის, მშრომელი ქალაქის სადღესასწაულო მორიგულობაში ჭარბობს ორი ფერი: წითელი — ალმებისა და ტრანსპარანტების ფერი, და მწვანე — ზაფხულის ფერი. ყველგან მრავალგზის მეორდება მოწოდება: „ყველანი — არჩევნებზე!“.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მოსკოველები ამ დღეს შეიკრებენენ დიდი შთაბეჭდილებით სკკპ ამასწინანდელი XXIV ყრილობის გამო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის გამო, რომლითაც მიმართა ამომრჩეველებს, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა წინასაარჩევნო გამოსვლების გამო. პარტიის ლენინურ პოლიტიკას, რომელიც მიზანია ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი მნიშვნელოვანი ამაღლება, პოლიტიკას, რომელიც გამსჭვალულია ზრუნვით ქვეყნის ეკონომიური ძალების ზრდისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მთელი ხალხი მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს. ამიტომ არის, რომ ამომრჩევლები კარგ, საზეიმო განწყობაზე არიან.

ექსპერტ დაკრის კრემლის კურანტების. და სსრ კავშირის სახელმწიფო ქიმნის ხმების გაიღო დედაქალაქის საარჩევნო უბნების კარი:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

...კრასნაია პრესნიის რაიონის ბავლიკ მოროზოვის სახელობის კულტურის სახლი. № 28 საარჩევნო უბანი. აქ ხმას აძლევს კომბინატ „ტროიხგორნაია მანუფაქტურის“ ბერი მუშა-მოსამსახურე. ფეიერვერი ამაყობენ, რომ 1918-1921 წლებში მათთან ბეჭედჯერ ყოფილა ვ. ი. ლენინი. ვლადიმერ ილიას-ძე მათი უცვლელი დეპუტატია მოსკოვის საბჭოში. ყოველთვის მისი არჩევის გამო, ახსენებენ უფროსი თაობის მუშები, კომბინატის მუშები მისალმებას უგზავნიდნენ ბლიჩს. 1923 წლის 26 ნოემბრის წერილში არის ასეთი სტრიქონები: „ჩვენ მუდამ შენთან ვარ, ისევე როგორც შენ მუდამ ჩვენთან ხარ“.

მუდამ ჩვენთან ხარ... ასე გამოსახატეს ფეიერვერმა ქვეყნის მუშათა ალიასის, ყველა მშრომელის გრძნობები თავიანთი ბელადისადმი. ილიჩის სახელთან, მის იდეებთან დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მთელი ცხოვრება, მთელი გეგმები და საქმეები. უბანში ერთ-ერთმა პირველმა მისცეს ხმა კომეუნისტმა ციო-ქმარმა ელენე ივანეს ასულმა და მიხეილ ნიკოლოზის-ძე მენშიკოვებმა, „ტროიხგორნაია მანუფაქტურის“ კომბინატის შთამომავლობითმა მუშებმა. ამ ოჯახის მუშაობის სტაჟი 125 წელს აღემატება.

— მე და ლენას, გვიამბობს მიხეილ ნიკოლოზის-ძე — გვახსოვს ლენინის გამოსვლები. ჩვენ აგვირჩევია იგი მოსკოვის საბჭოს დეპუტატად. და დღეს ჩვენ ხმა მივეცით ჩვენი მშობლიური პარტიის ლენინურ პოლიტიკას.

ბაუმანის საარჩევნო ოლქში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის მშრომელებმა დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბრეჟნევი. № 33 საარჩევნო ოლქი მოთავსებულია მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში.

— მე მოვისმინე ლენინიდ ილიას-ძის სიტყვა, რომელიც ჩვენი ოლქის ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქვა, — აღელვებით ამბობს მანქანათსამშენებელი ქარხნის მუშა ა. გ. ბორლოვა. — მაშინ გავიფიქრე: კარგად ვცხოვრობთ, მაგრამ კიდევ უკეთ ვიცხოვრებთ, ოღონდ ომი ნუ იქნება... ყველა საბჭოთა ადამიანმა იცის: ჩვენი დეპუტატი ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევი მშვიდობის მგზნებარე მებრძოლია. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის საფუძვლთა განმტკიცების წინადადებანი, რომლებიც მის სიტყვაშია გამოთქმული, გაბედავენ ნაყოფიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ პეტლეს-ძე მჟავანაძეს. აქ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის პლასტმასის ქარხნის მუშა რუსუდან სვეტლის ასული ბარბაქაძე, ლენინის რაიონის საბჭოს დეპუტატობაზე — მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მუშა ლიანა ილიჩის ასული მაჩაიძე, ქარხანა ელექტროშოლიტის მუშა ტატიანა ვასილის ასული ვოლობინა და მეთხუთმეტე საშუალო სკოლის დირექტორი ამირან ლეონის-ძე მათითაიშვილი.

ჯერ კიდევ რიერაკეზე საარჩევნო უბანთან ხალხს ბლომად მოეყარა თავი. საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ გურამ ფირაძემ მიულოცა ამომრჩევლებს ეს სასიხარულო დღე და აარჩევნების დაწყება. ამომრჩეველს თავს დასტრიალებდნენ და გულიანად ხდებოდნენ კომისიის თავმჯდომარეები ალბერტ ბაქრაძე, შალვა ბურდილაძე, ივანე ფანკოლაია, რომან ხინჩიკაშვილი.

საარჩევნო ბიულეტენები ერთ-ერთმა პირველმა გოგიძეების ოჯახმა აიღო: ისინი სამნი იყვნენ: ოჯახის უფროსი თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე შალვა, მეუღლე დოდო და შვილი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მესამე საამქროს მუშა გიორგი, რომელსაც ახლახან შეესრულდა თვრამეტი წელი და პირველად იღებს მონაწილეობას საბჭოთა დემოკრატიის ზეიმში.

— წუხელის თითქმის არ მიძინია, — თქვა ახალგაზრდა ამომრჩეველმა, — მოუთმენლად მოველოდი გავთენებას, რათა მეც გავიზიარო ეს სიხარული, რომელსაც აქამდე ჩემზე ხნოვანი ადამიანები ანიჭებდნენ. არჩევნებში პირველად ვმონაწილეობ, რაც დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს როგორც მუშაობაში, ისე ცხოვრებაში. უკვე სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ და ვმონაწილეობ ისეთ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში, როგორიც ხალისუფლების უმაღლეს ორგანოებში წარმომადგენლების წარგზავნაა. ეს მავალებს ვიყო საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

საარჩევნო ბიულეტენებს იღებენ ცოლ-ქმარი — მეტროლ იის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის მოადგილე ნონა ჩალაძე და ელმავალსამშენებლო ქარხნის თანამშრომელი ომარ ბაქრაძე. მათ პატარა გოგონაც თან ახლავდ და, როცა საარჩევნო ყუთში ბიულეტენებს უშვებდნენ, ბედნიერები, გახარებულნი ამბობდნენ:

— ჩვენ ამით ხმას ვაძლევთ ჩვენი ოჯახის, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებას, ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობას. ამით ხმას ვაძლევთ ჩვენი ხალხის ბედნიერებას, აყვავებასა და ძლიერებას.

ადრიანად მოვიდნენ მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად ნათელა ქუთათელაძე, ბაბულია ქავთარაძე, უმაღვი ჯინჭარაძე, სიმონ სამხარაძე და მრავალი სხვა. სიმონ სამხარაძემ მორიგული წარსული ჯიხსენა და თქვა:

— კარგად მახსოვს ნაძალადევის, — თბილისის ამ ძველი უბნის ბრი თუ ისე შორეული წარსული. ბა ბახდეთ ახლა ამ ფართო მაგისტრალებს, ცაში აზიდულ შენობებს, ბაღებს, სკვერებს. როგორ იცვალა იერი, დამშვენდა და გაშენდა ნაძალადევი და აკაკალა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის საარჩევნო უბნებში ყველგან ადრიანად დაიწყო ხმის მიცემა. დღის 12 საათისათვის ხმა მიეცა ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტმა, ხოლო 2 საათისათვის ხმის მიცემა თითქმის ყველგან დამთავრებული იყო. ჯვარ ლამაზი ზეიმობდა ბელადოს სახელობის რაიონი.

ბ. ბახტურიძე.

ერთსულოვნებით

ლენინის სახელობის რაიონში

ელმავალსამშენებლო ქარხანა, აგრეთვე კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა. ჩაის საწნი ფაბრიკა, შუშისა და შამპანური ღვინოების ქარხნები. უთვალავია აქ განლაგებული საწარმოები. ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია ფსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება.

ჯულს ახარებს ამ რაიონის მშრომელთა წარმატებები. ამიტომაც იყო, რომ გუშინ ამომრჩეველები სიამაყის გრძნობით მიდიოდნენ საარჩევნო ყუთებთან, რათა მოიხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი. აი № 2 საქარხნო საარჩევნო ოლქის № 19 საარჩევნო უბანი. იგი ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლებაში მდებარეობს, რომელიც ლამაზად, კოხტად წამოიმართა საბჭოშო ბაკა-ბაღის ორსართულიან შენობაშია მოთავსებული. ამომრჩეველები დაესწრებელნ ნაკადად მოიდინებიან საარჩევნო უბნისაკენ. ყველას სახეზე მხიარულებაა. ისინი ხმას აძლევენ ღირსეულთ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, პარტიისა და ხალხის სახელოვან შვილს, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ პეტლეს-ძე მჟავანაძეს. აქ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის პლასტმასის ქარხნის მუშა რუსუდან სვეტლის ასული ბარბაქაძე, ლენინის რაიონის საბჭოს დეპუტატობაზე — მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მუშა ლიანა ილიჩის ასული მაჩაიძე, ქარხანა ელექტროშოლიტის მუშა ტატიანა ვასილის ასული ვოლობინა და-მეთხუთმეტე საშუალო სკოლის დირექტორი ამირან ლეონის-ძე მათითაიშვილი.

ჯერ კიდევ რიერაკეზე საარჩევნო უბანთან ხალხს ბლომად მოეყარა თავი. საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ გურამ ფირაძემ მიულოცა ამომრჩევლებს ეს სასიხარულო დღე და აარჩევნების დაწყება. ამომრჩეველს თავს დასტრიალებდნენ და გულიანად ხდებოდნენ კომისიის თავმჯდომარეები ალბერტ ბაქრაძე, შალვა ბურდილაძე, ივანე ფანკოლაია, რომან ხინჩიკაშვილი.

საარჩევნო ბიულეტენებს იღებენ ცოლ-ქმარი — მეტროლ იის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის მოადგილე ნონა ჩალაძე და ელმავალსამშენებლო ქარხნის თანამშრომელი ომარ ბაქრაძე. მათ პატარა გოგონაც თან ახლავდ და, როცა საარჩევნო ყუთში ბიულეტენებს უშვებდნენ, ბედნიერები, გახარებულნი ამბობდნენ:

— ჩვენ ამით ხმას ვაძლევთ ჩვენი ოჯახის, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებას, ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობას. ამით ხმას ვაძლევთ ჩვენი ხალხის ბედნიერებას, აყვავებასა და ძლიერებას.

ადრიანად მოვიდნენ მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად ნათელა ქუთათელაძე, ბაბულია ქავთარაძე, უმაღვი ჯინჭარაძე, სიმონ სამხარაძე და მრავალი სხვა. სიმონ სამხარაძემ მორიგული წარსული ჯიხსენა და თქვა:

— კარგად მახსოვს ნაძალადევის, — თბილისის ამ ძველი უბნის ბრი თუ ისე შორეული წარსული. ბა ბახდეთ ახლა ამ ფართო მაგისტრალებს, ცაში აზიდულ შენობებს, ბაღებს, სკვერებს. როგორ იცვალა იერი, დამშვენდა და გაშენდა ნაძალადევი და აკაკალა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის საარჩევნო უბნებში ყველგან ადრიანად დაიწყო ხმის მიცემა. დღის 12 საათისათვის ხმა მიეცა ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტმა, ხოლო 2 საათისათვის ხმის მიცემა თითქმის ყველგან დამთავრებული იყო. ჯვარ ლამაზი ზეიმობდა ბელადოს სახელობის რაიონი.

ბ. ბახტურიძე.

საზეიმო დღე

ძალაძ თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელები კანონიერი სიამაყის გრძნობით მივიდნენ გუშინ საარჩევნო უბნებში, რათა ხმა მიეცათ კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის ღირსეული კანდიდატისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ვიდი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილისათვის, რომელიც კენჭს იყრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 15 ოცდასუთი თებერვლის საარჩევნო ოლქში.

უწყვეტ ნაკადად მოდიან ამომრჩეველები № 6 საარჩევნო უბანში, რომელიც მოთავსებულია ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღსრდის სახლში. საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. ბახტაძე, საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები ბელოთადდ ვეგებოდნენ ამომრჩეველებს, რომელიც აქ მოვიდნენ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონი სტუდენტთა და ახალგაზრდებობათა რაიონი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში, სადაც მოთავსებულია ორჯონიკიძის № 44 საარჩევნო ოლქის № 1 საარჩევნო უბანი, დილაადრიანვე მრავლად მოიყარა ხალხმა თავი. აქ კენჭი იყარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბეთრი სახსონის-ძე ძოწენიძემ. საარჩევნო ყუთებთან ზიდიზად მიდიოდნენ ამომრჩეველები და ხმას აძლევდნენ თავიანთ კანდიდატს.

დილის 11 საათისათვის ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ მოიხადა თავისი მაღალი მოქალაქეობრივი ვალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1971 წლის 13 ივნისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სერგო ორჯონიკიძე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ხმა მისცეს საქმეებლოს წინსვლას

საყოველთაო ზეიმი

კიროვის სახელობის რაიონში

დილაადრიან გაიღვიძა გუშინ თბილისმა. ინათა თუ არა, დედაქალაქის ქუჩებში ადამიანები გამოჩნდნენ. საზეიმოდ მორთული, სიხარულით სახეგაბრწყინვებული მიეშართებოდნენ ისინი საარჩევნო უბნებისაკენ მაღალი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად, იმისათვის, რომ ხმა მიეცათ თავიანთი რჩეულებისათვის, იმათთვის, ვინც არაერთხელ დაამტკიცა უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, სამშობლოსა და ხალხისადმი, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისადმი.

ჯერ დილის ექვსი საათიც არ იყო, მაგრამ გრიშაშვილის ქუჩაზე 73-ე საშუალო სკოლის შენობის წინ ხალხს უკვე ბლომად მოეყარა თავი. აქ კიროვის რაიონის მე-5 საარჩევნო უბანია მოწყობილი. 6 საათი რომ შესრულდა, კომისიის თავმჯდომარემ 73-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ვასილ ლითანიშვილმა გააღო კარი და არჩევნების დაწყება მოუსურვა ამომრჩევლებს. ყველას უნდოდა პირველის აღეთ საარჩევნო ბიულეტენები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევისათვის აქ კენჭს იყრის თბილისის მე-6 სამეურვალო ფაბრიკის მკერავი ეთერ კაპიტონის ასული ჩხეიძე.

წინასაარჩევნო შეხვედრაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების კიროვის № 40 ოლქის ამომრჩეველებმა კარგად გაიცნეს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატი და ახლა ხალისით მოვიდნენ ხმის მისაცემად.

საარჩევნო ყუთთან პირველნი მივიდნენ ახალგაზრდა ამომრჩეველები სვეტლანა და სტეფანე გოზალოვები. საარჩევნო ბიულეტენი რომ აიღო, სვეტლანამ თქვა:

— არჩევნებში პირველად ვმონაწილეობ და ძალიან მიხარია, რომ მეც სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ. კარგად მესმის, რომ ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს, ეს მაგალებს კარგად ვისწავლო, ვიშრომო, ვიყო საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქე.

შემდეგ ყუთში ბიულეტენი ჩაუშვეს მოხუცმა ამომრჩეველმა მარიამ ხუნდაძემ და შალვა ციერკაძემ. შალვამ მის გარშემო შეკრებილ ახალგაზრდებს უამბო:

— თქვენ ყველას კარგად არც კი გეხსომებათ ხარფუხის — დედაქალაქის ამ ძველი უბნის წარსული. თუმცა არც ისე დიდი ხანია, რაც აქ უკანასკნელი ქოხმახები აიღეს. აბა ახლა გახედეთ ამ ფართო მაგისტრალს, მის გასწვრივ ჩარიგებულ ბაღებსა და სკვერებს, რა სწრაფად იცვალა ჩვენს დროში იერი თბილისმა.

კიროვის რაიონის საარჩევნო უბნებში ყველგან ღილაადრიან დაიწყო ხმის მიცემა. ლესელიძის ქუჩაზე, 67-ე საშუალო სკოლის შენობაში მოწყობილ საარჩევნო უბანში უკვე 6 საათზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ვალაშვილმა არჩევნებზე მიიწვია აქ შეკრებილი უამრავი ამომრჩეველი. ამ უბანში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ მოწინავე მქსოველი ირინა აბრამის ასული კუნნეფოვა.

ამომრჩეველები განუწყვეტელ ნაკადად მიეშურებოდნენ მე-5 საარჩევნო უბნისაკენ. დილის 8 საათისათვის უკვე ხმა მისცა ამომრჩეველთა ერთმა მესამედმა, ხოლო 11 საათისათვის 1960 ამომრჩეველიდან ხმა უკვე მიეცემოდა ჭერნდა 92 პროცენტს.

ასე იყო ყველგან, კიროვის რაიონის საარჩევნო უბნებში, ხოლო 2 საათისათვის ხმის მიცემა თითქმის ყველგან დამთავრებული იყო.

მ. მიქაძე.

ს უ რ ა თ ებ ზ ე: მარცხნივ გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის მცხოვრებლებს (მარცხნიდან) ხიბუ გუმბას, სოციალისტური შრომის გმირს თემურ ტარბას და მახთი ტარკილს ერთად 300 ფული შეუსრულდათ. ისინი დღეს პირველნი მივიდნენ სოფლის საარჩევნო უბანში; ცენტრში — ბათუმი. ხმას აძლევენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „კიროვის“ მეზღვაურები (მარცხნიდან) ბ. ბაბენკო, ს. მარქარიანი, კ. კარაკაშიანი და ნ. ბუბუტეიშვილი;

ფოტო ი. ჰოხონელიძის და ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეს ფოტოსურათი გადაღებულია გუშინ ქ. თბილისში ლენინის რაიონის მე-10 საარჩევნო ოლქის 59 საარჩევნო უბანთან. დადგანს გრძელდებოდა ამომრჩეველთა მხიარულება.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მოქალაქეობრივი მოვალეობა

რეპორტაჟი აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საარჩევნო ოლქებიდან

სოხუმი. (საკ. კორ.). ახალი თვალსაჩინო მაჩვენებლებით შეხვდნენ არჩევნებს მზიური აფხაზეთის მშრომელები. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და კულტურა. მარტო შარშან აფხაზეთის მშრომელებმა გეგმის ჯადამეტებით სამშობლოს მისცეს 7500 ტონამდე ხარისხიანი ჩაის ფოთოლი, 4800 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

წელსაც წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა.

აფხაზეთის მრეწველობის მუშაკებმა განვლილი ხუთი თვის გეგმა დიდი ჯადაჭარბებით შესრულეს. საგრძნობლად გაუმჯობესდა აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრების დონე, საყოფაცხოვრებო პირობები. კიდევ უფრო დამშვენდა და კეთილმოწყობილი გახდა აფხაზეთის ქალაქები და სოფლები, აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება.

აფხაზეთის 281 საარჩევნო უბანში გუშინ დილის 6 საათზე ფართოდ გაიღო სადღესასწაულოდ მორთული ყველა საარჩევნო უბნის კარი. სოხუმის აკ. წერეთლის სახელობის მე-6 საშუალო სკოლაში № 5 საარჩევნო უბანია მოთავსებული. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რ. ჭაჭია ამომრჩევლებს იწვევს ხმის მისაცემად. ბიულეტენს პირველი იღებს ახალგაზრდა ამომრჩეველი ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ მუშა ლიანა გინდია.

— სულითა და გულით ვაძლევ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, — ხალისით ამბობს ის, — დარწმუნებული ვარ, რომ ამით ხმას ვაძლევ ჩვენი ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერ აწმყოს, უფრო უკეთეს მომავალს.

განსაკუთრებული მხიარულება და აღფრთოვანება სუფევდა ქალაქის ახალ დასახლებულ უბანში — ლენინქოფის ტაფობზე მე-20 საშუალო სკოლის შენობაში, სადაც № 52 საარჩევნო უბანია მოთავსებული. აქ პირველად შეიქნნა საარჩევნო უბანი. ამომრჩევლები ყველანი ახალმოსახლენი არიან. ისინი ხალისით აძლევენ ხმას სოხუმის საგალანტერიო ფაბრიკის მუშას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სვეტლანა შინკუბას.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად პირველნი გამოცხადდნენ კოლმეურნეები 104 წლის ტეგი შარმათი და 102 წლის მუსტაფი ასაბუა. მათ სიხარულით მისცეს ხმა.

არჩევნებმა ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში, გაგრის, გულრიფშის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში. აფხაზეთის მშრომელებთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო აქ დასასვენებლად ჩამოსულმა ასობით ადამიანმა. დღის 3 საათისათვის აფხაზეთში ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 90 პროცენტს.

ბათუმი, 13 ივნისი. (საქდესის კორ.). ჩვეულებრივზე ადრე გაღვიძეს ღამე აჭარის ქალაქებსა და სოფლებმა. ყველგან გაისმის მხიარული ლაპარაკი და სიმღერები: ამომრჩევლები მიდიან საარჩევნო უბნებში. მათ სიხარული და მხიარულება კანონზომიერია. დღეს ხომ ისინი კიდევ ერთხელ გამოიყენებენ მოქალაქეობრივ უფლებებს, რომლებიც მათ საბჭოთა კონსტიტუციამ მიანიჭა.

ბევრი ხალხი შეიკრიბა № 5 ჩაისუბნის საარჩევნო უბანში. აქ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში კენჭს იყრის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კოლიანინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ფეირუზე ჯუსეინის ასული ჯინჭარაძე. იგი დასასრულებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 380 ჩაისუბნის საარჩევნო ოლქში.

ზუსტად დილის ექვს საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. მამუჩაძემ ამომრჩეველები მიიწვია ხმის მისაცემად. პირველ უბანში მოვიდნენ ჩაისუბნელი კოლმეურნეები 82 წლის ადალი ანთაძე, მისი ცოლი და 18 წლის შვილიშვილი.

— ბაბუა, პირველი თქვენი რიგია!

— არა, ძვირფასო! შენ პირველად აძლევ ხმას, მომავალი კი თქვენ, ახალგაზრდებს გეკუთვნით, მე კი მოვკასწრებ.

მაგრამ შვილიშვილმა თავისი გაიტანა, და ადალი ანთაძემ პირველმა ჩაუშვა საარჩევნო ბიულეტენი.

ანთაძის ოჯახის წევრების შემდეგ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცეს სოფელ ჩაისუბნის ყველა კოლმეურნემ, აგრონომებმა, მოსამსახურეებმა და უფროსი კლასების მოსწავლეებმა.

როგორც კი ექვსი საათი შესრულდა, ფართოდ გაიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 11 საარჩევნო უბნის კარი.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!

— მიმართა ამომრჩევლებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. ჯინჭარაძემ.

თვითეული ამომრჩეველი ცდილობს პირველმა მისცეს ხმა ხალხის დირსეულ კანდიდატს, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის მოწინავე მუშას, კომუნისტური „შრომის დამკვრელს რამიზ მამედალის-ძე მალაკმაძეს, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად დაასახელეს ქალაქ ბათუმის № 367 ლენინის საარჩევნო ოლქში.

აქ საარჩევნო ბიულეტენები პირველმა მიიღეს ნინო მაღლაკელიძემ, და თენგიზ მეტაქვსამ, რომლებიც პირველად მონაწილეობენ კენჭისყრაში, შემდეგ დანარჩენმა ამომრჩეველებმა.

ორგანიზებულად და ამომრჩეველთა მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩაიარა კენჭისყრამ ყველა სხვა საარჩევნო უბანშიც. დღის 12 საათისათვის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო აჭარის ამომრჩეველთა 86,9 პროცენტმა.

მათ ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, კიდევ ერთხელ ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ურყევი გადაწყვეტილება თავდადებულად იბრძოლონ ლენინური პარტიის დიად წინასწარმეტყველებისათვის, მეცხრე ხუთწლიანის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ცხინვალი. (საკ. კორ.). დიად დღესასწაულს ამინდმაც ხელი შეუწყო, თბილი მზანინი დდე გამოვიდა. საოლქო ცენტრმა — ცხინვალმა ადრე გაიღვიძა. გაისმა ორკესტრის ხმა, ადამიანები საარჩევნო უბნებში ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ყვავილებით ხელში, თან მოჰქონდათ სიხარული, ჩვენი დიადი ცხოვრების სილაღე და ღიმილი.

დიდი გამოცოცხლება იყო ცხინვალის ლენინის, კ. მარქსის, ფ. ენგელსის საარჩევნო უბნებში. აქ ამომრჩევლები ხალისით აძლევდნენ ხმას ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის წარჩინებულ მუშას ზარეტა სანაკოევას.

საოლქო ცენტრში კი სისტემატურად მოდიოდა ცნობები რაიონებიდან, ჯავიდან, ზნაურიდან, ლენინგორიდან. საარჩევნო კომისიის წევრები იტყობინებოდნენ არჩევნების წარმატებით მიმდინარეობის შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისია აჯამებდა მიღებულ ცნობებს.

განსაკუთრებით მაღალ პოლიტიკურ ვითარებაში ჩაიარა არჩევნებმა მთის სოფლებში, სადაც ამ დღეებში მშობლიურ მთებს დაუბრუნდნენ თეთრი ქარავნები. მეცხვარეებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა და ხმა მისცეს მათ მიერვე დასახელებულ კანდიდატებს, რომელთა შორის არიან მეცხვარეებიც.

ჯავისა და ზნაურის საარჩევნო უბნებში მრავალი მოხუცი და ახალგაზრდა მოვიდა ხმის მისაცემად. საერთოდ სამხრეთ ოსეთში დღის 12 საათისათვის ამომრჩეველთა 80 პროცენტმა ხმა მისცა რჩეულთა შორის რჩეულებს.

ხუთწლედზე ფიქრით

დილაადრიან ქუთაისში

— მძღოლმა-გამომცდელმა ანზორ სოტიევმა, ქალაქის მეფსიანნაწილის მთავარმა ექიმმა ოთარ ჩხობაძემ, ნახევრად მისაბმელის საამქროს მეთაურმა მარო ფხაკაძემ და სამეიდლო საამქროს მუშამ პაპა კანდელაკიმ.

№ 3 საარჩევნო უბანში, რომელიც აგრეთვე ავტომშენებელთა დაბაშია მოთავსებული და სადაც 2697 ამომრჩეველია, პირველი საათისათვის ხმის მიცემა დამთავრებული იყო.

დიდი გამოცოცხლებაა აგრეთვე სხვა საარჩევნო უბნებში.

დღეს 12 საათისათვის ქუთაისის ამომრჩეველთა 87 პროცენტს უკვე მიეცემული ჰქონდა ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის:

1. **დოლიძეს** იოსებ მალაქიას-ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.
2. **კარჩაულს** ამირან ზაქარიას-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს.
3. **მაღრაძეს** გიორგი ესტატეს-ძეს — სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სექტორის უფროსს.
4. **ჭირიახ** ტერენტი ანდრიას-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს.
5. **წილოსანს** სერგო გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის სათავო ყველადრაქ ქარხნის ტექნოლოგს.
6. **შილაკაძეს** თამაზ ანდრიას-ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს „საქგზასამკვლევი“-ს დირექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის:

1. **აბულაძეს** ყაფლან გიორგის-ძეს — გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის გამომყვანი ფაბრიკის ოსტატს.
2. **ადუაშვილს** ივანე გარეგინის-ძეს — გორის ბამბეულის კომბინატის სართავი საწარმოს უფროსს.
3. **ავაქოვას** სუსანა ასატურის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სავაგონო დეპოს განყოფილების უფროსს.
4. **ავრამოვს** ვლადიმერ არისტარხის-ძეს — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს თბომავალ „თბილისის“ ელექტრომექანიკოსს.
5. **არუთინოვს** არშაკ მიხეილის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ავტომატური სატელეფონო სადგურის უფროს ინჟინერს.
6. **ბეჟანოვს** ტიგრან ვლადიმერის-ძეს — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს.
7. **ბერეზნოის** პავლე გერასიმეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალს.
8. **გაგნიძეს** გენადი სიმონის-ძეს — ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალს.
9. **გონგაძეს** ალექსანდრე ვლადიმერის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ოსტატს.
10. **გუნცაძეს** ნუგზარ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს.
11. **დათუნაშვილს** ვლადიმერ ილიას-ძეს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ელექტრიკოსს.
12. **თევდორაშვილს** მიხეილ ივანეს-ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საცდელი სარემონტო-მექანიკური ქარხნის დირექტორს.
13. **კაციტაძეს** მიხეილ პორფილეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილეს.
14. **კობალაძეს** გიორგი ბარნაბის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობმომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსს.
15. **კობიაშვილს** ნარიმან გიორგის-ძეს — სსრ კავშირის ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საცდელი წარმოების საზეინკლო-საამქროს უფროს ინჟინერს.
16. **კრიეკანოვსკის** სერგი ალექსანდრეს-ძეს — ტრესტ „საქთვეზმრეწვის“ სოხუმის თევზკომბინატის ინჟინერ-მექანიკოსს.
17. **მაღრაძეს** ლუარსაბ იოსების-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სავაგონო დეპოს ავტოსაკონტროლო პუნქტის ოსტატს.
18. **მელაძეს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ქარხანა „პლასტმასის“ უფროს ინჟინერს.
19. **მოსიაშვილს** უშანგი გიორგის-ძეს — კასპის ქარხანა „ელექტროაპარატის“ საამქროს უფროსს.
20. **ნაფეტვარიძეს** სამსონ იოსას-ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მთავარ ინჟინერს.
21. **პაშნიკს** ვიქტორ ბორისის-ძეს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ზეინკალს.
22. **სიმონიანს** გურგენ არკადის-ძეს — ანალიტიკური ხელსაწყოთ მშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.
23. **სტრელჩენკოს** ბორის ივანეს-ძეს — საქართველოს სამოქალაქო საავიაციის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილეს.
24. **სიორიაძეს** გიორგი იასონის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მთავარ ინჟინერს.
25. **ქალიაშვილს** ივანე ილიას-ძეს — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 23 ატელიეს ბრიგადირ-გამომკვრელს.
26. **სიხარულიძეს** სამსონ ნესტორის-ძეს — თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონის“ მთავარ ინჟინერს.
27. **ქათამაძეს** ნეონილა პარმენის ასულს — მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანს.
28. **შევჩენკოს** გრიგოლ ივანეს-ძეს — თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ საამქროს ოსტატის თანაშემწეს.
29. **ჩიკოვანს** ვახტანგ ანდრიას-ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო-საძიებო კანტორის დირექტორს.
30. **ჯიჯავაძეს** აკაკი სულეიმანის-ძეს — ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ მთავარ ტექნოლოგს.
31. **ხაზანზუნს** ეფიმ ნატანის-ძეს — ბათუმის სარეცხი მანქანების ქარხნის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ბიუროს უფროს ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე.

თბილისი,
1971 წლის 31 მაისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:

აბშილავას ციცა ჯაგოს ასულს — კავშირგაბმულობის ოჩამჩირის რაიონული კვანძის ტელეგრაფისტს.

აბხაზავას ავრაფინა რაჟდენის ასულს — კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის სადგურის ტელეფონისტს.

ადიბეკიანს არტაშეს თათიოსის-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

ბაბუნაშვილს ნიკოლოზ სიმონის-ძეს — პენსიონერს.

ბენაშვილს გიორგი ხვიჩოსის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროს ელექტრომექანიკოსს.

ბიკოევას ანა იასონის ასულს — კავშირგაბმულობის ცხინვალის საქალაქო კვანძის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს დამხარისხებელს.

ბუგაიანშვილს თამარ ბესარიონის ასულს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური ტელეგრაფის ტელეფონისტს.

ბულატს ნიკოლოზ ანდრიას-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსს.

ბუხნიკაშვილს მიხეილ გიორგის-ძეს — პენსიონერს.

გაბელაიას ვახტანგ მიხეილის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროს ელექტრომექანიკოსს.

დოხნაძეს თევდორე მიხეილის-ძეს — კავშირგაბმულობის ტყიბულის საქალაქო კვანძის უფროსს.

ედილაშვილს მირიან ვასილის-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირისა და რადიოფიკაციის დირექციის უფროსს.

ეფრემოვს სერგო კირიაკის-ძეს — კავშირგაბმულობის წალკის რაიონული კვანძის უფროსს.

ვართანიანს ელენე კონსტანტინეს ასულს — სოხუმის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის უფროს ტელეფონისტს.

თარალაშვილს ხვითისო ილიას-ძეს — კავშირგაბმულობის გურჯაანის საელექტროტაციო-ტექნიკური კვანძის თელავის მაგისტრალური უბნის უფროსს.

იაშვილს კონსტანტინე იოსების-ძეს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის თბილისის მეტროპოლიტენის ელექტრომექანიკოსს.

კალანდიას ელენე დიდას ასულს — გალის რაიონის სოფელ ოქუმის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსს.

კაჭარავას გრიგოლ პაპლეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის თბილისის დისტანციის უფროსის თანაშემწეს.

კვახაძეს ილია გიორგის-ძეს — თბილისის რკინიგზის ფოსტამტის საფოსტო ვაგონის უფროსს.

კიურეგინას კარლოს გრიგოლის-ძეს — კავშირგაბმულობის ახალციხის საელექტროტაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორს.

კორძახიას გიორგი კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს რესპუბლიკური რადიო-სატელევიზიო გადამცემი სადგურის სამსახურის უფროსს.

კოფენლუს შოთა ალექსანდრეს-ძეს — თბილისის მთავარი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის უფროსს.

ლალაშვილს შალვა გაბრიელის-ძეს — თბილფოსტამტის ფოსტალიონს.

ლომსაძეს გრიგოლ ივანეს-ძეს — კავშირგაბმულობის ხაშურის საელექტროტაციო-ტექნიკური კვანძის ელექტრომექანიკოსს.

მუსტაფაევს მეხმან მუსტაფოსძეს — კავშირგაბმულობის მარნეულის რაიონული კვანძის უფროსს.

ნათბილაძეს როსტომ ალექსის-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროს უფროსის მოადგილეს.

ნასყიდაშვილს ირაკლი ილიას-ძეს — საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის რადიოსადგურის უფროსს.

ნონიევას შუშანიკ არტემის ასულს — თბილისის რკინიგზის ფოსტამტის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეს.

პეტრიაშვილს ლევან რაჟდენის-ძეს — სოხუმის ცენტრალური ტელეგრაფის უფროს ინჟინერს.

რობაქიძეს ბენედიქტი იპოლიტეს-ძეს — კავშირგაბმულობის ქუთაისის საელექტროტაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორს.

სამელიას ბალვა გიორგის-ძეს — კავშირგაბმულობის გალის რაიონული კვანძის უფროსს.

სერაფიმოვს ივანე საველის-ძეს — კავშირგაბმულობის ოჩამჩირის საელექტროტაციო ტექნიკური კვანძის უფროს ინჟინერს.

ჩიტლაძეს ალექსანდრე ესტატეს-ძეს — საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის № 1 რადიოსადგურის უფროსს.

ტატეფანიშვილს გაბრიელ ალექსის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროს ელექტრომექანიკოსს.

ფატეევს პეტრი ლევის-ძეს — ტრესტ „სოიუზტელეფონსტროის“ თბილისის სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

ქარელს კანონ ივანეს ასულს — კავშირგაბმულობის გორის რაიონული კვანძის სოფელ ტყვიავის საფოსტო განყოფილების უფროსს.

ქორიძეს ემილიან ლუკას-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის, დისტანციის ადგილობრივი სატელეფონო ხაზების უფროს მექანიკოსს.

ქსოვრელს კალისტა მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საკონტროლო ბიუროს უფროსს.

ჭურდოღლიანს აიკ არშაკის-ძეს — კავშირგაბმულობის ბოგდანოვკის რაიონული კვანძის უფროსს.

შვანგირაძეს შოთა მიხეილის-ძეს — კავშირგაბმულობის სამტრედიის საელექტროტაციო-ტექნიკური კვანძის სახაზო უბნის უფროსს.

შიმშილაშვილს რობერ ფილიპეს-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსს.

ჩიქვილაძეს კალისტრატე ამბროს-ძეს — კავშირგაბმულობის ონის რაიონული კვანძის უფროსს.

ჩიხლაძეს ალექსანდრე ესტატეს-ძეს — საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის № 1 რადიოსადგურის უფროსს.

ჩომარიანს არმენაკ დავითის-ძეს — აჭარის ასსრ საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს რადიოსადგურის უფროს ინჟინერს.

ჩხეიძეს გიორგი პავლეს-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ინჟინერს.

ძაძამიას სერგო ერასტის-ძეს — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საექსპლოატაციო-ტექნიკური სამმართველოს უფროს ინჟინერს.

ძიმისტარაშვილს ვიქტორ გიორგის-ძეს — კავშირგაბმულობის სოხუმის საქალაქო კვანძის ოპერატორს.

ჯანაშიას გრიგოლ შარუს-ძეს — კავშირგაბმულობის გეგეჭკორის რაიონული კვანძის უფროსს.

ჯიბონაიას შალვა პურუს-ძეს — კავშირგაბმულობის ზუგდიდის საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის უფროსს.

ხორავას გიორგი ტარასის-ძეს — აფხაზეთის ასსრ კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი,
1971 წლის 31 მაისი.

მეტალურგთა ხმა

რუსთავში

ხალხმა მეგობრობის პროსპექტზე, ი. ჭავჭავაძის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის შენობაში არის მოთავსებული № 38 საარჩევნო უბანი. აქ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრიდა ცნობილი ქართველი მეტალურგი, რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მეალეკავი დავით ალექსანდრეს-ძე გურგენიშვილი, ხოლო საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე — მშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი შ. მოღებაძე, სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსი ბ. ქაჯაია, მეტალურგიული ქარხნის მუშა დ. ფილატოვა, პურის ქარხნის დირექტორი შ. კარტოზია, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი შ. შარაბიძე და ქარხანა „ელექტროსამაგრების“ მუშა ნ. ნიორკინაძ.

დილის ექვსი საათია. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ო. ხოფერია ხმის მიცემის დაწყებას ულოცავს ამომრჩევლებს და საარჩევნო ყუთებისაკენ იწვევს მათ.

ბიულეტენს პირველი იღებს ახალგაზრდა ამომრჩეველი რ. ბუაძე.

— გული სიხარულს ვერ იტევს, — განაცხადა მან. წელს არჩევნებში პირველად ვიღებ მონაწილეობას. ამ დღეს მართლაც რომ მოუთმენლად ველოდი. ხმას ვაძლევ რა ღირსეულ კანდიდატებს, ამით ხმას ვაძლევ ჩვენი ახალგაზრდობის, მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერ მომავალს.

დილის ექვს საათზე ხმის მისაცემად მოვიდა აგრეთვე 85 წლის პენსიონერი ე. ანდღულაძე

მევიდობის, უფიფრთების განმტკიცებისათვის

უველა კონტინენტის პრესა, რადიო, ტელევიზია, დაწერილებით აშუქებენ და ვრცელ კომენტარს უძღვნიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრაზე. მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებმა საერთაშორისო ურთიერთობის საკვანძო პრობლემებზე, წინადადებებმა, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება ხალხებს შორის.

□ **საფრანგეთი.** აუწყებს რა თავის მკითხველებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვის შესახებ ამომრჩეველთა წინაშე, აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა ყველაზე ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი და მსოფლიო საზოგადოებრიობა მოელიან დახავლეთის სახელმწიფოების პასუხს სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებულ წინადადებებზე, რომელთა შორის არის მასობრივი მოსპობის ყველა ხახეობის იარაღის აკრძალვა, სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების შემცირება, ატომური იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტა და ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევა.

□ **იტალია.** „ბრეჟნევი ყველაზე აყენებს წინადადებას ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ“ („ორიერე დელა სერა“). „სსრ კავშირის მშვიდობიანი შეტევა“ („ტემპო“) — ასეთი სათაურებით იტალიის პრესა აშუქებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ამომრჩეველთა წინაშე.

„ლ. ი. ბრეჟნევმა დაადასტურა, — ხაზს უსვამს გაზეთი „მესაჯერო“, — რომ საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ“. გაზეთი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის იმ ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გადაწყვიტოს დიდი სახელმწიფოების იმ სამხედრო ფლოტების პრობლემა, რომლებიც თავიანთი ნაპირებიდან შორს დაცურავენ.

„ორიერე დელა სერა“ თავის მხრივ წერს: ბრეჟნევმა ფრიად რეალისტური წინადადება შემოიტანა განიარაღების საკითხში.

□ **ინგლისი.** გაზეთი „გარდიანს“ დიპლომატიური მიმომხილველი კიტლი, კომენტარს უძღვნის რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვას ამომრჩეველთა წინაშე, აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა ყველაზე ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების პრობლემის დიდ მნიშვნელობას. „ლონდონში და დასავლეთის სხვა დედაქალაქებში, — წერს იგი, — საგარეო საქმეთა მინისტრები და მათი მრჩეველები დიდი ყურადღებით სწავლობენ ამ ინიციატივას“.

„გარდიანს“ მოჰყავს ციტატა სიტყვის იმავე ნაწილიდან, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირი მზად არის გადაჭრას დიდი სახელმწიფოების იმ სამხედრო ფლოტების პრობლემა, რომლებიც თავიანთი ნაპირებიდან შორს არიან. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს განცხადება „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“.

□ **იაპონია.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს გაზეთი „ხანკეი სიმბუნი“, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება დიდი სახელმწიფოების იმ სამხედრო ფლოტების შემცირების საკითხზე, რომლებიც თავიანთი ნაპირებიდან შორს დაცურავენ. შემდეგ გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი მოელის დასავლეთის ქვეყნების პასუხს თავის წინადადებებზე ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის, ყველა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის, ატომური იარაღის გამოცდის სრულიად შეწყვეტის შესახებ.

□ **შვეიცარია.** „ტრიბუნ დე ლოზანი“ აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კვლავ მიმართა ნატოს ქვეყნებს წინადადებით გაიხილონ ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი. ეს გაზეთი ხაზს უსვამს აღრეთვე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ ნატოს საბჭოს ამასწინანდელ ლისაბონის სესიას არ მოუცია მკაფიო პასუხი ამ დიდმნიშვნელოვან საბჭოთა წინადადებაზე.

ორბიტაზე იქნება მინდორი!

მიფრინავს სადგური „სალუტი“

ადამიანს ყოველდღე სჭირდება 700 ლიტრამდე ჟანერი, 2 ლიტრი წყალი და დაახლოებით 600 გრამი შეთვისებადი საკვები ნივთიერებანი ასეა დედამიწაზე — ასეა კოსმოსშიც. როდა კოსმონავტები კოსმოსში მიფრინავენ, მათ თან მიაქვთ სიცოცხლის უზრუნველსაყოფი მარაგი.

კოსმოსში უკვე იყენენ მეცნიერთა და ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები. ეკიპერიმენტები ამ მიმართულებით, კერძოდ, ქლორელას ეკსპერიმენტები, გრძელდება პილოტირებული სამეცნიერო სადგური „სალუტზეც“.

როგორც განაცხადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიის კმაგრმ ვ. ი. სიმენენკომ, რაკი უნდა დიდი და ტექნიკურად სრულყოფილი იყოს დედამიწის მახლობელი დასახლება, იქ ადამიანები ვერ გაძლებენ თუ არ ექნათ ჩვეული ბუნებრივი სამყარო, ადრე თუ გვიან კოსმოსურ ტრასებზე გაჩნდება სიცოცხლის უზრუნველყოფის შეკრული ეკოლოგიური სისტემები, რომლებიც დედამიწის ბიოსფეროს მაგვარი იქნება. მათი არსი და მნიშვნელობა ის არის, რომ დამოუკიდებელი იქნებიან დედაპლანეტისაგან.

შორეული პლანეტებისაკენ ფრენის დროს ყველაფერს ვერ მოიმარაგებ. მომავლის ვარსკვლავთფრენებში აუცილებლად უნდა იყოს დედამიწის ატმოსფერო „ნაწილაკი“. ახლა ფიზიოლოგები უკვე ეძებენ ბუნებაში „ჟანეტებს“ კოსმოსური რეისებისათვის. შესაძლებელი გარიანტი უამრავია, მაგრამ რომელი მათგანი იქნება ოპტიმალური, ესეც იგი საკითხია? ამ შეკითხვაზე პასუხს მოგვცემს ორბიტულ ლაბორატორიებში მიმდინარე გამოკვლევები.

ახლა საკვებით ცხადია მოთხოვნები: კოსმოსისათვის საჭიროა ეიცხალი ორგანიზმების ისეთი ჯგუფები, რომლებიც გაუძლებენ ხანგრძლივი ფრენის პირობებს და „თავისთავადი“ — ბიოლოგიურად შეთავსებადი დარჩებიან. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ადამიანისა და გარემოს კავშირი ურთიერთობის მთავარ რგოლად მწვანე მცენარეები დარჩებიან.

ჩვენი აზრით ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ ვარიანტში ერთუჯრედიანი წყალმცენარეები შეკლენ. პრინციპულად უკვე შეიქმნა მარტული ეკოლოგიური სისტემა, რომელშიც ორი კომპონენტია: ადამიანი რჩება ქლორელის „პირისპირ“ და მისი ანაგებადი სუნთქავს. წარმატებით დამთავრდა ეკსპერიმენტები, რომელთა დროს ქლორელას იყენებენ გამონაყოფ-ნარჩენების ლიკვიდაციისა და წყლის რეგენერაციისათვის. აღსანიშნავია, აღნიშნა ვ. ი. სიმენენკომ, რომ ამ ბოლო წლებში ამ წყალმცენარის პროდუქტიულობა ასჯერ გაზარდეს.

ქლორელის ბიომასის მნიშვნელობა საკმარ არ არის, მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა იყო ადამიანის ერთადერთი საკვები გახდეს? მისი პროდუქტის ნახევარი სუფთა ცილაა, დაახლოებით 20 პროცენტი — ცხიმები და მხოლოდ 15-18 პროცენტის ნახშირწყლები. ასეთი სტრუქტურა აშკარად არ შეესაბამება ჩვენს ულუფას. ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება ნახშირწყლები — დაახლოებით 400 გრამი და ას-ასი გრამი ცილები და ცხიმები. მაშასადამე, უნდა სრულყოფილ წყალმცენარეთა ენერგეტიკური ბუნება, მათი კულტივირების ტექნოლოგია და გადამუშავებისთვის საბოლოო პროდუქტი. კვლევა ამ მიმართულებით გრძელდება. შესაძლებელია სხვა ერთუჯრედიანი ორგანიზმების, მაგალითად, სპირულინის შერჩევა.

...უმაღლეს მეცნარეთა კოსმოსურ შესაძლებლობებზე გვესაუბრება პროფესორი ა. ფ. კლიმენინი. მეცნიერი დარწმუნებულია, რომ „დედამიწისეული“ ნათესები აუცილებელი გახდება შორეულ კოსმოსურ რეისებში.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იქნება სულ სხვა მინდორები, — თქვა მან. — მაქსიმალურად ავტომატიზებული, კონვეიერული ტიპის მინდორები, სადაც სპეციალური ჯიშები გაიხარებს. მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა გადაიჭრას მთავარი საკითხი — ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ მეცნიერული ფიზიოლოგია უწონობის პირობებში. რაკი სიმძიმის ძალა არ არის, გამორიცხულია მწვანე სამყაროსათვის საჭირო პოლარობა: ფესვი ქვემოთ ისწრაფვის, ღერო კი ზემოთ. ალბათ ასტროფიზიოლოგიებს მოუხდებათ სიმძიმის ძალის შეცვლის გზის გამონახვა ან ხელოვნური გენერაციის შექმნა.

კოსმოსისათვის შესაფერად მიგვაჩნია ბრაკეულ ნაპირზე მეცნარეები, რომლებშიც ფოტოსინთეზის პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობს, აგრეთვე ის კულტურები, რომლითა ფესვეკი იქმნება და ფოთოლიც. ასეთი პიბრიდები უკვე არის საბჭოთა სელექციის აწსენაში.

— ხომ არ შეგიძლიათ, თუნდაც საკარაუდოდ, დაასახელოთ კულტურები? ვკითხეთ მეცნიერს.

— ეკოლოგიური სისტემები უპირველესი პრეტენდენტები არიან მწვანე ვიტამინიანი კულტურები: ხახვი, სალათა, კომბოსტო. ბოლოკი, ისპანახი, კამა... ფფიქრობთ, რომ კოსმოსურ დასახლებებში ყანაც იქნება. ადამიანი ისე შეიჩვევა ბურს, რომ უპურად, სხვა არა იყოს რა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც ვაუჭირდება. ყველაზე უფრო ხანგრძლივი საპლანეტათშორისო ფრენის დროს ივარგებს მოკლეციკლიანი ხორბალი. კოსმოსურ სიაში შეტანილი ვკვაჭს ბარეთვე კარტოფილი, სტაფილო, ლობიო, სოია და ზოგიერთი სხვა კულტურა.

ორგანიზმების ბიოლოგიური ერთიანობის შესწავლისას ვხელმძღვანელობთ კულტურების მოთხოვნებით, ვიდიოლობთ რაკ შეიძლება სრულად ვაკვიოთ მათი პოტენციური შესაძლებლობანი და მოთხოვნები. ახლა, კერძოდ, მიმდინარეობს ეკსპერიმენტი, რომლის დროს მეცნარე თვითონ აირჩევს სინათლის რეჟიმს, დაპროგრამებს და შეინარჩუნებს მას. სრულდება ასეთი გამოკვლევების სხვა ვარიანტებიც. ასეთი ეკსპერიმენტები საშალებას მოგვცემენ არა მარტო შეავლენთ ოპტიმალური ბიოლოგიური ჯაჭვები. ალბათ მეცნარეული ორგანიზმები „ბაზისთან“ ერთად ეკოლოგიურ ნიშებში „ბინადრობენ“ ადამიანი. ამ ამოცანას ეხმიანება ეკოლოგიური ფსიქოლოგიის ამოცანა. ადამიანი ძალიან ბევრ ინფორმაციას ეღებულობს ბუნებიდან. ადამიანი ბინადარ ბუნებაში ცხოვრობს. ეს ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი ტიპია. ეს ინფორმაციის ერთ-ერთ

საქართველოს ამა-ბარში

უნიკალური ძეგლების გამოფენა

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უმდიდრესი განძთსაცავია. ამ დღეებში აქ მოეწყო მუზეუმში დაცული უნიკალური ძეგლების გამოფენა, რაც პირველია მუზეუმის ისტორიაში.

გამოფენაზე წარმოდგენილია ძველი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ოქრომჭედლობისა და ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლები. ქართული ოქრომჭედლობის მიერ შუა საუკუნეებში განვლილ გზას ასახავენ მაღალმხატვრული გემოვნებითა და ინვენციათა ოსტატობით შესრულებული ისეთი ძეგლები, როგორიც არის ზნაკვას სტავროთეკა, ქუთაისის სამწერობელი, შორაპნისა და მოწამეთის XI საუკუნის ხატები, ფრაგმენტულად დაცული წმინდა გიორგის ხატი ხონიდან, ვერცხლით მოჭედილი ხატი სოფელ სხვავადან, ნიკორწმინდის ჯვრის ფრაგმენტები, XI საუკუნის ტიბოული მინანქრის ფრაგმენტები და ჭედური ხელოვნების სხვა შესანიშნავი ნამუშევრები.

დამთვალიერებლებს აქვე შეუძლიათ გაიცნონ ავრეთვე ეტრატზე შესრულებული სახარება-სამოციქულოს, იქვთიმე ათონელის მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ ნაშრომებს, გელათის აკადემიაში არსებ იყალთოელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი დიდი სჯულის კანონის ხელნაწერებს, ხუთტომიანი ანიოგრაფიული ბერძნული კრებულის ქართულ თარგმანებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და სხვა უძნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ძეგლებს.

გუშინდელი ფოსტიდან

● **ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ.** ამ დღეებში ახალციხის სარაიონო კულტურის სახლში თავი მოიყარეს რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებმა. მათ შეხვედრა მოუწყეს სოციალისტური შრომას გმირს, აწყურის მერძევეობა-მეწველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ნ. სარჯველაძეს.

სიტყვებით გამოვიდნენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი ვ. სამსონიძე, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ნ. ფეიქრაშვილი, კლუბის სასოფლო კლუბის გამგე ტ. კურტანიძე და სხვები.

ნ. ᲘᲐᲫᲘ.

● **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ.** ლარგვილში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს საშუალო სკოლისათვის ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა. უახლოეს დღეებში დამთავრდება კედლების ამოყვანა და გადახურვა, შემდეგ კი გაჩაღდება შიდა სამუშაოები. მშენებლობის საერსლოატაციოდ გადაცემა დაგეგმილია ახალი სასწავლო წლისათვის.

Ა. ᲥᲔᲜᲯᲐᲫᲔ.

● **ᲪᲮᲘᲙᲐᲯᲘᲐ.** კარგა ხანია ნაყოფიერად მუშაობს „საქმთავარგაზის“ ფოთის № 9 ტრესტის ცხაკაიას საექსპოზიციო უბანი (უფროსი ვ. ალანდარიშვილი). მისმა კოლექტივმა ენერგიულად დაიწყო ახალი ხუთწლედის პირველი წელი. დაჯილდა პირველი კვარტალის შედეგები, რის მიხედვითაც ცხაკაიელ მეგაზეებს კვლავ გადაეცათ ტრესტის გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია. განსაკუთრებით აღინიშნა მოწინავე ადამიანების რ. იკიკვას, გ. ყიფიანის, გ. კიკიანის, ი. გამსახურდიას, ვ. გვასალიას მუშაობა.

Გ. ᲛᲘᲚᲝᲠᲐᲕᲐ.

● **ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘ.** რაიონის ერთ-ერთ უდიდეს სოფელში — უდეში, სადაც 1.100 კომლზე მეტი მცხოვრებია, გაიხსნა ახალი, რიგით მესამე ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკა (გამგე ე. აბულაძე) მდიდარია მხატვრული, პოლიტიკური, სამეცნიერო და სბავშვო ლიტერატურით.

ამ დღეებში ახალ ბიბლიოთეკაში მკითხველებისათვის წაკითხულ იქნა ლექცია თემაზე „სკკპ XXIV ყრილობას გადაწყვეტილებები და ჩვენი ამოცანები“.

ბიბლიოთეკაში უკვე მოეწყო ყრილობის მასალებისა და საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

Ш. ᲛᲐᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მეათე გამოშვება

ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ. (საკ. კორ.). ათი წელიწადია ყვარელში არის ჯანმრთელობის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი თ. შაოშვილი).

სახალხო უნივერსიტეტი მუშაობს ერთწლიანი პროგრამით, — თეორიული მეცადინეობები ეწყობა 6 თვეს, ხოლო პრაქტიკული — 3 თვეს. უნივერსიტეტში გაერთიანებული არიან კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები, დაასახლისები ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად სახალხო უნივერსიტეტზე მიმაგრებულ ი არიან სხვადასხვა პროფილის მედიცინის მაღალკვალიფიციური მუშაკები, რომლებიც დიდი გულისყურით ეკიდებიან მინდობილ საქმეს.

ჯანმრთელობის სახალხო უნივერსიტეტის კურსი ამ დღეებში დაამთავრა 81 მსმენელმა.

რეპლიკა

გაზეთი ასე დაგვიანებით?

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ მშვიდი რიგი გაზეთის კიოსკთან მინახავს. ხალხი ერთმანეთს თავაზიანთ და პატივით ეპყრობა, ალბათ იმიტომ, რომ ერთმანეთის „ტკივილს“ კარგად გრძნობენ, იციან, რომ გაზეთი კულტურული ადამიანის წყალი და ჰაერია. თანაც იმთავითვე ასე დაწესდა (ამ საზრდოს კაცი სისხამ დილით ეტანება). ეს ყველამ იცის. არ იციან მხოლოდ საქართველოს კავშირგაბმულობის სოიუზპეჩატის ექსპედიტორებმა, რომლებმაც დროულად უნდა მიაწოდონ გაზეთები კიოსკებს.

კიოსკი უგაზეთოდ? გაიკვირვებს მკითხველი. დიახ, 18 ივნისს, კვირას, არჩევნების დღეს დილიდან ამაოდ ელოდა ხალხი გაზეთებს კიოსკებთან. თუმცა „უსაზღვრო არ იყო მათი მოლოდინი“, როგორც იყო ათის ნახევრისათვის გამოჩნდნენ ექსპედიტორები და „სულიერი საზრდოც“ მოიტანეს. „არათუ დღეს, არამედ საერთოდ ცხრა საათამდე გაზეთი არ მოაქვთ“, — გვეუბნებიან კიოსკების გამყიდველები.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თბილისში არის ერთი კიოსკი, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ დილით ადრე, სამუშაოზე წასვლამდე გაზეთის ახალი ნომერი შეიძინონ. ვთხოვეთ კიოსკერს ექსპედიტორი დაესახელებინა, რათა მისი გამოცდილება სხვებისთვისაც გადაგვეცა. ნურას უკაცრავად. თურმე კ. მაჩიტაძე — სოიუზპეჩატის № 52 კიოსკში მომუშავე — თვითონვე ასრულებს ექსპედიტორის მოვალეობას. — მე რომ მაგათ ვეწოდო, ათზე ადრე არ მომიტანენ, ნაძალადევი მუშათა რაიონია და თადარიგი დილაადრიან თუ არ დავიჭირე, ხალხი უგაზეთოდ დამრჩებაო.

ხომ არა ფიქრობენ სოიუზპეჩატის ხელმძღვანელები, რომ კიოსკერ კ. მაჩიტაძის გამოცდილება და მაგალითი მისასალმებელი და დასანერგია. არ ვიცით, ეს შინაური საქმეა. ის კი ცხადზე უცხადესია, რომ გაზეთებით მოქალაქეები სისხამზევე უნდა უზრუნველყონ, ხოლო დამნაშავეებმა, რომლებმაც 18 ივნისს დილით ამომრჩევლები უგაზეთოდ დასტოვეს, პასუხი უნდა აგონ.

Ზ. ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ჩვენს რესპუბლიკაში ჩაიარა როგორც დიდმა სახალხო დღესასწაულმა. დილადანვე ფართოდ გაიღო საარჩევნო უბნების კარები. ქართველი მშრომელები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ, რათა ხმა მიეცათ რჩეულთათვის, მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (მარცხნივ) — დუშეთის № 158 საარჩევნო ოლქში ხმას აძლევენ პენსიონერი ნიკოლოზ ხიხფეხი. შვილი და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ასმათ კაიშაური. მარჯვნივ — ფოთის რაიონის ყინვასის № 161 საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნის წევრებმა საარჩევნო ბიულეტენები აუტანეს არაგვიხპირის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსებს, რომლებიც ალპურ საძოვრებზე იმყოფებიან.

ფოტო Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და ს. ᲗᲔᲗᲖᲐᲫᲘᲡᲐ. (საქდესის ფოტოქრონიკა).

350-Ე — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ დიდი ფეხბურთის დღე. მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო შეხვედრა სსრ კავშირისა და შოტლანდიის ნაკრებთა შორის. ეს იქნება ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლთა მეორე შეხვედრა უმაღლეს დონეზე. მატჩი, რომელიც გლასგოში შედგა 1967 წლის 10 მაისს, დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით 2:0. ძველი შემადგენლობიდან მეტოქეების რამდენიმე ფეხბურთელი შემორჩათ. ესენი არიან: შოტლანდიის ნაკრებიდან — ტ. ჯეიმელი, ჯ. ჯონსტონი (ორივე „სელტიკიდან“), ფ. მაკლინტოკი („არსენალი“), ჯ. მაკალოიკი („ულვერჰემპტონი“); საბჭოთა ნაკრებიდან — ა. შესტერნოვი, მ. ხურცილავა, ი. საბო, ე. მალოფეევი.

შოტლანდიის ნაკრებმა უმაღლეს დონეზე მსოფლიოში პირველმა გამართა საერთაშორისო შეხვედრა დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ. 1872 წელს გლასგოში იგი შეხვდა ინგლისის ნაკრებს. ეს მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა. ფაქტიურად აქედან დაიწყო ნაკრებთა შეხვედრები. მას შემდეგ შოტლანდიელებმა სულ უმაღლეს დონეზე გამართეს 349 მატჩი (188 მოგება, 69 ფრე, 92 წაგება). ისე რომ მოსკოვის დღევანდელი მატჩი შოტლანდიელებისათვის სამასსორმოცდამეათე იქნება.

ახალ სეზონში შოტლანდიის ნაკრები (მწვრთნელი ბ. ბრაუნი) მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთის ტურნირში, სადაც გამოდიოდნენ აგრეთვე უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ინგლისის გუნდები, და მეოთხე ადგილი დაიკავა. შოტლანდიელებმა დამარცხება განიცადეს აგრეთვე ევროპის შესარჩევ მატჩებში ბელგიის ნაკრებთან 0:3, პორტუგალიის გუნდთან 0:2, დანიელ ფეხბურთელებთან 0:1.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲝᲠᲗᲐᲒᲠᲫᲝᲚᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (საკადრი). სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრაში დევისის თასზე დღეს განახლდა წინა დღით სიბნელის გამო შეწყვეტილი შეხვედრა მეოთხე პარტიაში. ალექსანდრე მეტროველმა საინტერესო ბრძოლა გამარჯვებამდე მიიყვანა, მან ანგარიშით 7:5, 3:6, 4:6, 7:5 და 6:3 დაამარცხა იან კოდეში.

ᲬᲧᲕᲘᲚᲗᲐ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ისინი წინ არიან 2:1.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲢᲔᲜᲚᲘ ᲠᲝᲣᲖᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ სპორტის კონფედერაციამ დაწესა პრიზი — თასი, რომელიც 5 კილოგრამი ოქროსაგან არის გაკეთებული და 20 ათასი დოლარი ღირს. თასი დაწესებულია ფიფას პრეზიდენტის სტენლი როუზის პატივსაცემად და მისივე სახელი დაერქვა. ფიფას გადაწყვეტილებით, მას შემდეგ, რაც „ოქროს ჭალმერთი“ სამუდამოდ გადაეცათ ბრაზილიელებს, მსოფლიოს ჩემპიონისათვის დაწესებულია ᲤᲘᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲘ, რომელსაც სამუდამოდ არც ერთ გუნდს არ გადასცემენ. და აი სწორედ ამიტომ დააწესეს ბრაზილიელებმა სტენლი როუზის თასი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდი სამჯერ მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონობას, ეს თასი მის საკუთრებად იქცევა.

ᲝᲠᲘ ᲒᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲙᲔᲚᲘ...

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ გერმანიის კლუბი „ვერდერი“ (ბრემენი) პირველი გუნდია, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა.... ორი გოლისა და გატეხილი ძელის საშუალებით. ეს ამბავი ასე მოხდა. ბრემენის კლუბი მოწინააღმდეგის მოედანზე 2:0-ს უგებდა „ბორუსიას“ (მიონხენგლადბახი), როცა მეორე ტაიმში ერთ-ერთი უძლიერესი დარტყმის შედეგად კარის ძელი გატყდა, არბიტრმა მატჩი შეწყვიტა და ანგარიში ჩათვალა. მაგრამ წაგებულმა შეხვედრის ხელახლა ჩატარება მოითხოვა იმ მოტივით, რომ დარბენილ ოთხ წუთში ანგარიშის გაკეთებას შეეძლებდითო. ფედერაციამ ბრემენის გუნდს გამარჯვება მიანიჭა, ხოლო წაგებული „ბორუსია“ 1.500 მარკითაც დაჯარიმა. რადგან მასპინძელმა კლუბმა ვერ შეძლო გატეხილი ძელის შეცვლა, თამაში რომ განგრძობილიყო.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲣᲘᲡᲘ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ რინგზე მიმდინარეობს ტყვიის ხელთათმნის ოსტატთა დიდი ასპარეზობა — ევროპის მეცხრამეტე ჩემპიონატი კრივში. სტარტი საბჭოთა სპორტსმენებისათვის ცუდი რიდი აღმოჩნდა, ისინი გზას მიიკვლევენ წინ ფინალისაკენ.

მძიმე წონის საბჭოთა მოკრივე ჩერნიშოვმა ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე — ბელგიელი კომპანი. ‘ბანტამ უპირატესობის გამო მეტელვეს (ქვემიმე წონა) გამარჯვება მიეკუთვნა ბულგარელ პეტკოვთან შეხვედრაში. კაზარიანმაც (პირველი ქვესაშუალო წონა) ვადამდე — მეორე რაუნდში მოიპოვა გამარჯვება აშკარა უპირატესობით ჰოლანდიელ ვისერთან შეხვედრაში. მსუბუქ წონაში ხრომოვმა ქულებით მოუგო შეხვედრა ინგლისელ სინჯლტონთან. ვ. ზაპოროჟეცმა (მეორე უმჩატესი წონა) სძლია ფრეიშტადტს (გფრ).

ᲠᲔᲒᲑᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის რეგბის მოყვარულები მომავალ სეზონს განსაკუთრებული ინტერესით მოელიან. საქმე ის არის, რომ საკავშირო ჩემპიონატზე საქართველოს სპორტულ ღირსებას ორი გუნდი — „დინამო“ და „ლოკომოტივი“ დაიცავს. „ა“ კლასში კი სულ რვა გუნდია.

ისევე, როგორც შარშან, ეს გუნდები გაყოფილია ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფის რეგბისტთა კოლექტივების შეხვედრები გაიმართება მოსკოვში. ამ ჯგუფში შედიან — საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონი „ფილი“, აგრეთვე გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო აკადემიის, კიევის „დინამოსა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდები. მეორე ჯგუფში გამოვლენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, ლენინგრადის „ბურევესტნიკის“, თბილისისა და კიევის „დინამოს“ რეგბისტები. ასპარეზობა მოეწყობა ივლისის დამლევს ლენინგრადში. შემდეგ კი სეტემბერში რვავე გუნდი გამართავს დასკვნითს შეხვედრებს.

ამ სისტემით ჩემპიონატი უკანასკნელად მოეწყობა, რადგან მას ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. მომავალ წელს კი შეჯიბრება ფეხბურთის პირველობის ანალოგიური სისტემით გაიმართება.

მოსალოდნელია, რომ ოლიმპიურ საჩვენებელ ტურნირში სხვა ნაციონალურ ნაკრებ გუნდებთან ერთად გამოვლენ საბჭოთა რეგბისტებიც. ჩვენი ნაკრები წელს პირველ საერთაშორისო შეხვედრებს გამართავს პოლონეთის გუნდებთან.

Ш. ᲛᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

რეგბის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ

1) აგრონომიული,
2) აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა,
3) მცენარეთა დაცვა,
4) აგრომელიორაცია,
5) მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა,
6) მეაბრეშუმეობა,
7) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია,
8) ბუღალტრული აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში,
9) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები),
10) სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია,
11) მეღვინეობის ტექნოლოგია,
12) საკონსერვო წარმოების ტექნოლოგია,
13) სატყეო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები),
14) ჰიდრომელიორაცია.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

ა) აგრონომიულ, მცენარეთა დაცვის, აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის, აგრომელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის, მეაბრეშუმეობის სპეციალობებზე: ბიოლოგია* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

ბ) სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის და სოფლის მეურნეობაში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობებზე: მათემატიკა* (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).

გ) სატყეო მეურნეობის, მეღვინეობის ტექნოლოგიისა და საკონსერვო წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობებზე: მათემატიკა* (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

დ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის და ჰიდრომელიორაციის სპეციალობებზე: მათემატიკა* (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა).

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში რუსულ სექტორზე.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ზემოაღნიშნული ზეპირი გამოცდები ჩატარდება წერითი ფორმით.

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ მაპროფილებელ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით აღნიშნულ საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგანში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ და „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა სხვა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩაირიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩაირიცხებიან შუამავად სოფლად მცხოვრები პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი სასწავლებლად არჩეული სპეციალობებით, პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილებისა და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შეტანილი უნდა იქნას რექტორის სახელზე. განცხადებას თან ერთვის: 1) სამუშაო განათლების დოკუმენტი (დიპლომი), 2) დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს — სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთა — სამხედრო ნაწილების მეთაურები; 3) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეობათვის ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, რომელშიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად აღგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით; 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5) ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ; 6) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარადგენენ: პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 16 საათამდე მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში. თბილისი — 31, დიღომი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ავტობუსი № 27 და 54.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲔᲚ ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲘᲣᲠ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ (ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ — ᲑᲠᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲒᲐᲚᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲗᲐ).

კურსებზე კონკურსის წესით მიიღებიან უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლები, არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ და უცხო ენას ფლობენ უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პროგრამის ფარგლებში.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: უმაღლესი სასწავლებლის რეკომენდაცია; კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით; დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან: დიპლომის ასლი; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადების შემოტანისას. **საბუთებას მიღება იწარმოებს 20 ივნისამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 28 ივნისიდან, კურსებზე ჩარიცხვა 30 ივნისამდე.**

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. კურსებზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 45, ტელეფონი 22-00-09).

ᲠᲐ ᲕᲘᲦᲐᲚᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

17.05 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — საქართველოს ფირადი ტელევიზია — „ცეროდენას ეკრანი“, 18.40 — ბავშვებისათვის — „ჩვენ უცხო ენას ვსწავლობთ“, 19.20 — კინონარკვევი 19.40 — ინგლისური დოკუმენტური ფილმი — „ჯონ ბრაუნი კლაპჰემში“ (ქართულ ენაზე), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30— ფირადი ტელევიზიის პროგრამა. ამსანაგური შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა კავშირისა და შოტლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს — სპორტული კვირეული 22.15 — „შეხვედრა მომღერალთან“ — დ. ანდღულაძე.

მეორე ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

19.00 — სკოლების დასახმარებლად — ქიმიის გაკვეთილი, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ქიმია, 21.00 — საკელვინიზო ფილმი „ქალაქები და წლები“ (პირველი სერია).

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — ახალი ამბები, 18.05 — ბავშვებისათვის — „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — გადაცემა „ადამიანი და სამყარო“. „ჩვენი გალაქტიკა“, 19.10 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. „პალიტრა“. ვასილ შუხაევის გამოფენაზე“. 19.40 — კინოპროგრამა, 20.20 — გადაცემა „ესტრადაზეა სტეფანე ჯაფარიძე“, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „კინოლექტორიუმი“ — რობერტო როსელინი.

მეორე ᲞᲠᲝᲗᲠᲐᲛᲘᲗ

19.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკის გაკვეთილი, 20.00 — საქართველოს ფირადი ტელევიზია — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მეცნიერება მოჩვენებებზე“, 20.20 — სატელევიზიო ფილმი „ქალაქები და წლები“ (მეორე სერია).

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲑᲔᲑᲘᲔᲑᲘ, ᲑᲐᲑᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲣᲜᲯᲣᲠᲘᲡᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ კარი შევაღე თუ არა, ჩემს მაგიდასთან თბილისელ ხალხს საქმეთა მმართველმა უთხრა:

— აი ეს გახლავთ, პასუხს ეს გაგცემთ.

— დიდად სასიამოვნოა, შენ ხარ ჩემი ბატონი, თქვენი გაცნობა, არქიფო კაპიტონაძე გახლავართ, ყოფილი იურისტი, ამჟამად პერსონალური პენსიონერი, — თქვა ხანშიშესულმა, ბურთივით მრგვალმა გაჭაღარავებულმა კაცმა და ხელი გამომიწოდა.

ხელი მაგრად ჩამომართვა, ალბათ უნდოდა თავისი ძალა ეგრძნობინებინა.

იძულებული გავხდი მეთქვა:

— ნაადრევად გადასულხართ, პატივცემულო, პენსიაზე.

— ნაადრევად ვინ გაგიშვებს პენსიაზე, თორემ კი. ძალა შემრჩა და ენა. ეს ენა ახლა კლიენტებს კი არა, მარტო ამ პატარა გოგონას ემსახურება და ეტიკეტიკეება. შეხედეთ, რა გოგოა, ნამდვილი დახატული ანგელოზია, მაგრამ ამაზე შემდეგ... ეს ქალი ამ გოგონას დედაა, ეს კაცი — მამა. ესეც ჩემი კნეინა, ანუ ბებიაა ამ ცუნცულა თინიკოსი. ეს კი ჩემი ცოლისდაა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ესეც ბიძამისი...

მე ყველას მოკრძალებით ვართმევდი ხელს, და ვერ გამეგო რას მთხოვდნენ.

— დაბრძანდით, დაბრძანდით... ყველანი დასხდნენ ბაბუა არქიფოს გარდა.

— აბა გისმენთ, ძვირფასო სტუმრებო. რაზე შეუწუხებულხართ?

— მივმართე მოკრძალებით.

— ახლავე მოგახსენებთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, — თქვა არქიფომ და დაიწყო:

— ზოგ ადამიანს, როცა იბადება, ღვთიური ნიჭი თან დაჰყვება... ხომ ასეა?

— დიახ, ბატონო...

— რაღაც განსაკუთრებული, ზეციური ნიჭით აჯილდოებს მას ბუნება. აი ეს ბავშვი ჯერ ექვსი წლისაც არ არის, და ნახეთ მისი ლექსები...

არქიფომ ადგოკატის ძველებური გაცრეცილი პორტფელი გახსნა და რვეული დაადო.

— მოვლენაა, მოვლენა...

— ბეკუაზე შეიშლებით... — თქვა ლედამ...

— ეს არის საოცრება... — წამოიძახა მამამ.

— ასეთი შვილიშვილი არავის არა ჰყავს, ბატონო, არავის, — დაუმატა ბებიამ.

— მოცარტმა 5 წლისამ დაწერა ოპერა...

— აკაკი წერეთელმაც თინიკოს წლებში დაიწყო ლექსების წერა,— მაყრდნენ აქეთ-იქიდან.

— თუ შეიძლება რვეული მაჩვენეთ...

— აბ, თქვენ როგორ შეგაწუხებთ, მე თვითონ წაგიკითხავთ! — თქვა არქიფომ, რვეული გადაშალა და უღიღესი პათოსით შეუდგა კითხვას:

გაზაფხული

გაზაფხული მოვიდა
**